

# "ნაციონალურ მოძრაობას" რაღაც გაუგებარ სექტას ვუწოდებ – ირაკლი ღარიბაშვილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი “ნაციონალურ მოძრაობას” “სექტას” უწოდებს.

ამის შესახებ მან დღეს სასტუმრო “ჰორიდეი ინში” განაცხადა.

“რა უნდა დაუპირისპიროს მთავრობამ და მოსახლეობამ სიცრუის კამპანიას?! – სიმართლე. ეს არის ჩემი პასუხი. ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ სიმართლე და მოსახლეობას უნდა განვუმარტოთ ის პროცესები, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს. “ნაციონალურ მოძრაობის” პოლიტიკა და მსოფლმხედველობა გაჭერებურია ტყუილით, აგრესიით, ძაღადობით, სადიზმით, სისასტიკით. ეს არის “ნაციონალური მოძრაობის” მთელი 9-წლიანი საქმიანობის მოკლე აღწერა. ის ფაქტი, რომ მათ გამართეს აქცია და მოითხოვეს საქართველოს აბსოლუტური უმრავლესობის მიერ არჩეული მთავრობის გადადგომა, ეს სასაცილოა და სერიოზულ კომენტარსაც ვერ გავაკეთებ. ეს არის კიდევ ერთხელ დემონსტრირება იმისა, რომ ეს ადამიანები არიან ჩამოყალიბებული რაღაც გაუგებარ, მე არ მინდა ეს სიტყვა ვიხმარო, მაგრამ სხვა ვერაფერს ვუწოდებ, თუ არა სექტას, რომლებიც არ არიან ორიენტირებული ქვეყნის განვითარებაზე. მათი ამოცანაა, დესტრუქცია და შეფთვა შემოიტანონ. მითუმეტეს ამის ყველა საშუალება აქვთ – აქვთ ყველაზე მძლავრი მედიასაშუალება და ჰყავთ დესტრუქციური ძალები, რომლებიც ცდილობენ კანონს გარეთ არეულობა შემოიტანონ მოსახლეობაში, მაგრამ სახელმწიფო მათ კანონის ფარგლებში ადევკვატურ პასუხს გასცემს. არავის არ ვურჩევ, არც “ნაციონალურ მოძრაობას”, ყველაზე დესტრუქციულ ძაღას ქვეყანაში, რაიმე ფორმით, რაიმე სახით რაიმე დაგეგმოს. სახელმწიფო იქნება ძაღიან დაუნდობელი კანონის ფარგლებში”, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, “ნაციონალურებს” ჰქონდათ უფლება, ჩაეტარებინათ ძაღით და ფურით მოგროვიდი ხაღხით აქცია, თუმიცა ამ ხაღხმა უნდა გაიგოს, რომ “ნაციონალურ მოძრაობას” არავითარი შანსი არ აქვს, რომ რაიმე

პროცესები შეაფერხოს“.

ღარიბაშვილის შეფასებით, „ეს იყო სასაცილო აქცია, სადაც თქვეს, რომ განაწყენდა თურმე 10 000 კაცი და მთავრობა უნდა გადადგეს“.